ხელშეკრულება №76
(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ.სამტრედია 26.07.2019 წ.

ერთის მხრივ, ააიპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება" (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის კობა ბიბილეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, ინდ.მეწ. მაია ქანთარია ს/კ 37001031639 სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ერთმანეთთან ინტერესთა კონფლიქტში და ვდებთ გამარტივებული შესყიდვის სახის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. " ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში _ ხელშეკრულება) _ შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი- შემსყიდველს.
1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" _ ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.
1.3. "დღე", კვირა", "თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4."შემსყიდველი" _ ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. "მიმწოდებელი" _ პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მოწოდებას, ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. საქონელი _ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1.ხელშეკრულების საგანი: ხელის ხერხის პირები, დამჭერები (ჭანჭიკები ქანჩები) , ნიჩაბი (დიდი), ნიჩაბი (პატარა), ნიჩაბი (ბარი), თოხი, ბურღები (ბურღის პირები) , ფოცხი, , სახრახნისი.

2.2 CPV კოდი: ხელის ხერხის პირები - 44511510, დამჭერები (ჭანჭიკები ქანჩები) – 44530000, ნიჩაბი (დიდი) – 44511110, ნიჩაბი (პატარა) -44511110, ნიჩაბი (ბარი) – 44511110, თოხი -44511310, ბურღები (ბურღის პირები) – 44512310, ფოცხი - 44511340, სახრახნისი - 44512800.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: 541,50 (ხუთასორმოცდაერთი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი

კერძოდ: ხელის ხერხის პირები 25 ც X 3,5 ლ = 87,5 ლარი
დამჭერები (ჭანჭიკები ქანჩები) 100 ც X 0,3 ლ = 30 ლარი
ნიჩაბი (დიდი) 6 ც X 15 ლ = 90 ლარი
ნიჩაბი (პატარა) 12 ც X 10 ლ = 120 ლარი
ნიჩაბი (ბარი) 5 ც X 10 ლ = 50 ლარი
თოხი 5 ც X 14 ლ = 70ლარი
ბურღები (ბურღის პირები) 5 ც X 3 ლ = 15ლარი
ფოცხი 5 ც X 11ლ = 55 ლარი
სახრახნისი 3 ც X 8ლ = 24 ლარი

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით,

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში. მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის (სასაქონლო ზედნადები) შემსყიდველის მხრიდან დამოწმებიდან 10 დღის ვადაში

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მოწოდებული საქონელი შემსყიდველის მიერ ჩაითვლება მიღებულად საგადასახადო დოკუმენტაციის შემსყიდველის მხრიდან დამოწმების შემდეგ რომელშიც მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები:

- მოწოდებული საქონლის დასახელება
- მოწოდებული საქონლის ერთეული და საერთო ღირებულება

5.2. საქონლის სრულად მოწოდების დასრულების შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს შესაბამის საგადასახადო დოკუმენტაციას.

6. საქონლის მოწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მოწოდება მოხდება მიწოდებლის მისამართზე
6.2. საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.
6.3. საქონლის მოწოდება მომწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს დამკვეთის მოთხოვნის და საჭიროების შესაბამისად.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია
ა) ნებისმიერ დროს განახორცილელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირება;
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის საქონლის მოწოდების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) საქონლის მოწოდება უზრუნველყოს სათანადო ხარისხით, შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი საქონლის პარამეტრების დაცვით და სრული მოცულობით, იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2 და 6.3 პუნქტებში
ბ) იმ შემთხვევაში თუ მოწოდებული საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხრას აღმოჩენილი ხარვეზი.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი *ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას* განახორციელებს ააიპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება"-ს **მატერიალურ უზრუნველყოფის საკითხებში წამყვანი სპეციალისტი ლაშა ლეჟავა .**
8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, მოწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.
8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებულებელი ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი)%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლება მოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 26 აგვისტომდე.

14. მხარეთა რეკვიზიტები

,,შემსყიდველი":	,,მიმწოდებელი":
ააიპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება"	ინდ.მეწ. მაია ქანთარია
ქ. სამტრედია 9 აპრილის ქ.№4	ქ.სამტრედია სააკაძის ქუჩა #6
ს/კ 438724212	ს/კ: 37001031639
ბანკი: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში	სს ,,თიბისი ბანკი"-ს
	GE47TB7889536010100022

Samtredia municipality utility union

Подписано цифровой подписью: Samtredia municipality utility union
Дата: 2019.07.26 14:33:44 +04'00'